ხელშეკრულება №46.
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქუთაისი

18.12.2018. წ.

ერთის მხრივ, სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა ქვაჩაკიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ორგსერვისი" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხვიჩა ნემსაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს'" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1წინამდებარე ხელშეკრულების საგანებია:

- დაფა (cpv:30195000)---95ლ
- ქაღალდი ქსეროქსის ფერადი,( cpv:30197630)---8ლ

შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 103ლარი (ასამი ლარი).

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში). შემსყიდველის მისამართზე (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სოფელი მუხიანი)

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 %-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

11.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლა | შპს „ორგსერვისი“ |
| ს/კ 221299823 | ს/კ 212693851 |
| მის: სოფელი მუხიანი | მის.: ქუთაისი. ი. ჭავჭავაძის გამზ. N51/2ა |
| ტელ:577 233515 საბანკო რეკვიზიტები: | ტელ.: 0431 270578 |
| ს/ს „საქართველოს ბანკი“ | საბანკო რეკვიზიტები: ს/ს პროკრედიტბანკი |
| ბანკის კოდი BAGAGE22 | ბანკის კოდი MIBGGE22 |
| ა/ა GE93BG0000000119475200 | ა/ა GE28PC0133600100067722 |
| დირექტორი მ.ქვაჩაკიძე | დირექტორი /ხ. ნემსაძე/ |
| (ხელმოწერა) ბ.ა | (ხელმოწერა) ბ.ა |

1. შესყიდვის ობიექტია:

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაფა მარკერის მაგნიტური | ცალი | 1 | 95 | 95 |
| 2 | ქარალდი ქსეროქსის ფერადი | ცალი | 200 | 0.04 | 8 |
| სულ ღირებულება | | | | | 103 ლარი |

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლის დირექტორი /მ.ქვაჩაკიძე/

შპს „ორგსერვისის" დირექტორი /ხ. ნემსაძე/

# მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. ქუთაისი 18 .12. 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, შპს „ორგსერვისის" დირექტორი ხვიჩა ნემსაძე(შემდგომში მიმწოდებელი) მხრიდან, და მომსახურების მიმღები სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლის დირექტორი მამუკა ქვაჩაკიძე (შემდგომში - შემსყიდველი) ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2018 წლის 18 დეკემბერს გაფორმებული N 46 ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელმა ჩავაბარე, ხოლო შემსყიდველმა მივიღე საკანცელარიო საქონლის მიღება-ჩაბარება.

გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების შესაბამისად შეადგენს 103 (ას სამი ლარი) ლარს.

მამუკა ქვაჩაკიძე
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
სოფელ მუხიანის საჯარო სკოლა

ხვიჩა ნემსაძე
შპს „ორგსერვისი" დირექტორი

# ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ)

ქ. ქუთაისი

18.12. 2018 წ.

ჩვენ, მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საკანცელარიო საქონლის შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესაბამისად, შპს ორგსერვისის მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის

საჯარო სკოლის დირექტორი /მ.ქვაჩაკიძე/

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირი: /ი.ქვაჩაკიძე/

# საგადახდო დავალება No 1289

Transfer Order No 1289

ვალუტირების თარიღი/Value Date: 28/12/2018 რეფერენსი/reference: 7423174141

იგრძენი მომავალი — საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

| | | |
|---|---|---|
| გადამხდელის დასახელება/Originator | ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit) | თანხა/Amount |
| სსიპ წყალტ. მუნიც. სოფ. მუხიანის საჯარო სკოლა | GE93BG0000000119475200GEL | 103.00 GEL |
| გადამხდელის ბანკი/Originator Bank | ბანკის კოდი/Bank Code | თანხა სიტყვებით/Amount in words |
| სს "საქართველოს ბანკი" | BAGAGE22 | ას სამი ლარი 00 თეთრი |
| გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name | საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer | |
| სსიპ წყალტ. მუნიც. სოფ. მუხიანის საჯარო სკოლა | 221299823 | |
| მიმღების დასახელება/Recipient | ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code | ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank |
| შ.პ.ს. "ორგსერვისი" | GE28PC0133600100067722 | |
| მიმღების ბანკი/Recipient Bank | ბანკის კოდი/Bank Code | გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank |
| სს "პროკრედიტ ბანკი" | MIBGGE22 | 28/12/2018 |

გადახდის დანიშნულება/Description

საკანცელარიო საქონლის ღირებულება

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

Information

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature: ბ-ძე ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ხელმოწერა/Signature:

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ვალუტირების თარიღი/Value Date: